საგადახდო დავალება N2

"21" სექტემბერი 2012 წელი

რეფერენსი
1692830827

გადამხდელის დასახელება: შპს დ პლუსი

ანგარიში (დებეტი) GE50BG0000000131160400
(ძველი ანგ.)

თანხა
4000-00

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

თანხა სიტყვებით
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს დ პლუსი

საიდენტ. კოდი 202907541

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი
TRESGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 21.09.12

გატარებულია ბანკის მიერ: 21.09.12

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

გადახდის დანიშნულება: ჯარიმა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.დადგენილებისნომ 001704

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

ბ.ა.





ქალაქ თბილისის მერია

განკარგულება № 2322

"13" აგვისტო 2012 წ.

იბა „კოლხეთი-სითის" თავმჯდომარის წარმომადგენლის
ლევან სეფერთელაძის ადმინისტრაციული საჩივრის
დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე

ქ. თბილისის მერიაში 2012 წლის 31 მაისს შემოტანილ იქნა იბა „კოლხეთი-სითის" თავმჯდომარის წარმომადგენლის ლევან სეფერთელაძის №12/76652-7 ადმინისტრაციული საჩივარი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 14 მაისის №001704 დადგენილების თაობაზე.

ადმინისტრაციული საჩივრის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 181-ე მუხლთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა საჩივარი. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 96-ე და 194-ე მუხლების შესაბამისად, წარმოდგენილ საჩივარზე გარემოებათა გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, საკითხთან დაკავშირებით 2012 წლის 12 ივნისს გაიმართა ზეპირი მოსმენა, რომელზეც გამოცხადდნენ: საჩივრის ავტორი ლევან სეფერთელაძე და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი – ეკატერინე გოგოლაძე (მინდობილობა №07-16/3772 02.04.12).

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მოთხოვნათა შესაბამისად, საქმეზე არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების, გამოკვლევის შემდეგ, საჩივრის ავტორს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ეთქვას შემდეგ გარემოებათა გამო:

2012 წლის 31 მაისს ქ. თბილისის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურს ადმინისტრაციული საჩივრით მომართა იბა „კოლხეთი-სითის" თავმჯდომარის წარმომადგენელმა ლევან სფერთელაძემ, ხოლო ზეპირ მოსმენაზე დააზუსტა მოთხოვნა და ითხოვა, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 14 მაისის №001704 დადგენილების ბათილად ცნობა, რომლითაც ამხანაგობა დაჯარიმდა 4000 ლარით, IV კლასი შენობა-ნაგებობის პროექტის დარღვევით მშენებლობისათვის.

საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, სადავო დადგენილება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით და შესაბამისად უნდა იქნეს ცნობილი ბათილად, რადგან ზედამხედველობის სამსახურის მიერ ერთხელ უკვე მოხდა ამხანაგობის დაჯარიმება პროექტის დარღვევისთვის, რის შემდეგაც არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებულ იქნა ახალი კორექტირებული პროექტი, ხოლო ის დარღვევები რაც მითითებულია №001704 დადგენილებაში, 2011 წლის 4 ივლისს, ანუ წინა დაჯარიმების დროს უკვე არსებობდა, მას მერე ამხანაგობას მშენებლობა აღარ განუხორციელებია, ვინაიდან აღნიშნული დარღვევები ზედამხედველობის სამსახურის მიერ არ იქნა დაფიქსირებული, ამხანაგობამ ვერ შეძლო პროექტის სრულყოფილად

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 189, ფაქსი: (+995 32) 23 78 154

კორექტირება. მისივე განმარტებით, მომზადებულია ახალი კორექტირებული პროექტი და უმოკლეს ვადაში დარღვევა გამოსწორდება.

ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მხარი არ დაუჭირა ადმინისტრაციულ საჩივარს და განმარტა, რომ ქ. თბილისის ზედამხედველობის 2012 წლის 14 მაისის №001704 დადგენილება, გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ 2012 წლის 19 მარტს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა იბა „კოლხეთი-სითის" მიმართა და გასცა მითითება, მასზედ რომ ქ. თბილისში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სამტრედიის ქ. №50-ში, ამხანაგობის მიერ მრავალფუნქციური შენობის „A" „ B" და C ბლოკების მშენებლობა ნაწარმოები იქნა ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.10.2011 №01/3013 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით და მისცა გონივრული ვადა არსებული მშენებლობის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანისათვის. 2012 წლის 5 აპრილის შემოწმების აქტიდან ირკვევა, რომ იბა „კოლხეთი-სითის" მიერ არ იქნა შესრულებული მითითებით განსაზღვრული პირობები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წლის 08 აპრილის „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტის თანახმად 2012 წლის 14 მაისს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება იბა „კოლხეთი-სითის" 4000 ლარით დაჯარიმების შესახებ. (14.05.2012 №001704).

საჩივრის ავტორის განმარტება, რომ №001704 დადგენილებაში მითითებული დარღვევები, ზედამხედველობის სამსახურს უნდა მიეთითებინა 2011 წლის 4 ივლისის №001092 დადგენილებაში, რადგან იმ პერიოდისათვის ეს დარღვევები უკვე არსებობდა და მას მერე მშენებლობა აღარ გაგრძელებულა, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გაზიარებული ვერ იქნება, რადგან 2011 წლის 4 ივლისის დადგენილება გამოტანილია, იბა „კოლხეთი–სითის" მიერ, მრავალფუნქციური შენობის, თბილისი არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 3 იანვრის№01/1 ბრძანებით, (რომელშიც განმარტებულია, რომ ნებართვა გაიცა A და B ბლოკების მშენებლობაზე), შეთანხმებული პროექტის დარღვევით მშენებლობისთვის. ხოლო 2012 წლის 14 მაისის №001704 დადგენილება კი გამოცემულია თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2004 წლის 6 ოქტომბრის №01/0313 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევისათვის, აღნიშნულ ნებართვაში, განსხვავებით წინა ნებართვისგან მოხსენიებულია A, B და C ბლოკების მშენებლობა. 2011 წლის №001092 დადგენილებაში A და C ბლოკების მშენებლობა და არსებული დარღვევები ზედამხედველობის სამსახურს დაფიქსირებული არ აქვს, ხოლო რაც შეეხება B ბლოკზე არსებულ დარღვევებს, საქმის მასალებიდან დგინდება, რომ იმ პერიოდისათვი B ბლოკზე დარღვევები არსებობდა -1.10 ნიშნულზე, ხოლო ის დარღვევები რაც 2012 წლის დადგენილებაშია მითითებული კერძოდ ვიტრაჟების მოწყობა და მათი გაბარიტების შეცვლა წარმოადგენს სამუშაოების ისეთ სახეობებს, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მშენებლობის ნებისმიერ ეტაპზე. საწინააღმდეგო მტკიცებულება კი მხარის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო დადგენილად მიიჩნევს, რომ სადავო დადგენილებაში მოხსენიებული დარღვევები ვერ იარსებებდა 2011 წლის 4 ივლისის დადგენილების გამოცემისას. საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ იბა „კოლხეთი-სითის"

მიერ ჩადენილია სამართალდარღვევა, კერძოდ, პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომელიც მითითებულ ვადაში არ იქნა აღმოფხვრილი. 2010 წლის 08 აპრილის „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად „სამშენებლო დოკუმენტაციითა და სამშენებლო რეგლამენტით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა გამოიწვევს IV კლასის შენობა ნაგებობისთვის დაჯარიმებას 4000 ლარით, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" 2010 წლის 08 აპრილის „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლი „ი" ქვეპუნქტის თანახმად სამშენებლო საქმიანობა განიმარტა, როგორც „ობიექტის მშენებლობის, მონტაჟის, რეკონსტრუქციისა და დემონტაჟის პროცესი" ყოველივე ზემო აღნიშნულიდან და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგად, ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ 2012 წლის 31 მაისის №12/76652-7 ადმინისტრაციული საჩივარი დაუსაბუთებელია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები," საჩივრის ავტორის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით" დადგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძვლები.

საკითხის შესწავლისას ვერ იქნა გამოვლენილი სადავო აქტის გამოცემისას წარმოების სახის ან აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის კანონით დადგენილი წესის დარღვევის ფაქტი, რაც ადასტურებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან.

ამდენად ადმინისტრაციულ ორგანოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 14 მაისის №001704ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV; VI; XIII თავების, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ადგენს:

1. არ დაკმაყოფილდეს იბა „კოლხეთი-სითის" თავმჯდომარის წარმომადგენლის ლევან სეფერთელაძის ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ძალაში დარჩეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 14 მაისის №001704 დადგენილება.
3. განკარგულების ასლები გადაეგზავნოთ მხარეებს.
4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხევანი, მე-12 კმ. №6,) ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

53086798121311

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N11066257

რეგისტრაციის თარიღი

29.06.2011 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ძლიერიშვილი
მისამართი: ქალაქი თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა 6
ტელეფონი: +995 (32) 38 04 35

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას თერთმეტი წლის ოცდაცხრა ივნისს მე, ნოტარიუსს ქეთევან ძლიერიშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე:, ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №6-ში, მომმართა: **ბელა ხარაბაძემ**, მან განაცხადა, რომ არის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა **„კოლხეთი-სითი“-ს** (დამფუძნებელი 12.11.2005 წ. სანოტარო აქტი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „კოლხეთი-სითი“-ს დაფუძნების შესახებ დამოწმებული მოტ. ნ. მინდიაშვილის მიერ რ/რ№1/10737) ამხანაგობის თავმჯდომარე (ი.ბ.ა. „კოლხეთი-სითი“-ს 15.11.2005 წ. დამფუძნებელთა №1 ოქმის საფუძველზე, დამოწმებული 12.11.2005 წ. ნოტ. ნ. მინდიაშვილის მიერ რ/რ№1/10738) და გამოხატა ნება შეადგინოს მინდობილობა და დაამოწმოს იგი სანოტარო წესით. მე შევამოწმე **ბელა ხარაბაძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ბელა ხარაბაძემ** (დაბ. 20.10.1961 წელს თბილისში, მცხ. ტაშკენტის და მიცკევიჩის ქუჩებს შორის ბ. 9, პ/ნ №01024018433, პ/მ №დ 0820489, გაც. 17.01.2006 წ. თბილისის საბურთალოს სმრ და სარ სამსახურის მიერ) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომლის ტექსტიც მოიწონა ბელა ხარაბაძემ და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თერთმეტი წლის ოცადცხარ ივნისს მე, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა **„კოლხეთი-სითი“-ს (ს/კ 205104242)** თავმჯდომარე **ბელა ხარაბაძე** ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **ლევან სეფერთელაძეს** (დაბ. 20.10.1956 წ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის №52/54, პ/ნ №01030022760, პ/მ № გ 0412778, გაც. 05.08.2003 წ. თბილისის ჩუღურეთის შს რ. გან. მიერ):

იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო რეესტრში, საგადასახადო ინსპექციაში, სანოტარო ბიუროში, ქ. თბილისის მერიის ყველა საქალაქო სამსახურში, ს/ს “თელასი“-ში, შ.პ.ს. „ყაზტრანსგაზ–თბილისი“-ში, შ.პ.ს. “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ში და სხვა, როგორც ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „კოლხეთი-სითი“-ს ამხანაგობის თავმჯდომარე, ისარგებლოს ხელმოწერის უფლებით, აწარმოოს ნებისმიერი საქმიანობა ინდივიდუალური ბინათმენაშენეთა ამხანაგობა „კოლხეთი-სითი“-ს სახელით, რათა შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნულთან, იყოს ამხანაგობის წარმომადგენელი, მისი სახელით ან მის მაგივრად შეასრულოს ყველა კანონიერი და საჭირო ქმედება ისე სრულყოფილად და ეფექტურად, როგორც ეს ამხანაგობის მიზნებსა და განზრახვებს შეესაბამება.

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში.

ეს მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ათი (10) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998 წ. №1417 II ს) 29-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ ერთი (1) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად 31[1] მუხლისა. სულ გადახდილია ცამეტი (13) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „კოლხეთი-სითი“-ს

ამხანაგობის თავმჯდომარე **ბელა ხარაბაძე**

_____

ნოტარიუსი **ქეთევან ძლიერიშვილი**